ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თავმჯდომარის ბრძანება

ბრძანება:**ბ119. 119240822**

თარიღი:**22/03/2024**

<u>წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის ჩატარების შესახებ</u>

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად და „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №6 დადგენილებით დამტკიცებული წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, 47-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ჩატარდეს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა 2024 წლის 29 მარტს, ქ. წალკა, არისტოტელეს ქ. №22-ში, 11:00 სთ-ზე შემდეგი დღის წესრიგით:

ა) განკარგულების პროექტი „მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გადაცემაზე წალკის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ";

ბ) განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ელ. ტენდერში (სატენდერო განცხადების ნომერი: NAT240003876) გამოვლენილ გამარჯვებულ შპს ,,მონომშენთან" ხელშეკრულების გაფორმებაზე წალკის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ";

გ) განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ელ. ტენდერში (სატენდერო განცხადების ნომერი: NAT240003877) გამოვლენილ გამარჯვებულ შპს ,,არწივანთან" ხელშეკრულების გაფორმებაზე წალკის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ";

დ) განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ელ. ტენდერში (სატენდერო განცხადების ნომერი: NAT230027500) გამოვლენილ გამარჯვებულ შპს ,,ჯეო ბილდ გრუპთან" გაფორმებული ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე";

ე) განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ელ. ტენდერში (სატენდერო განცხადების ნომერი: NAT230027503) გამოვლენილ გამარჯვებულ შპს ,,ბილდინგ დეველოპერთან" გაფორმებული ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე".

ვ) განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2024 წლის მარტის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ".

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

გამოყენებულია კვალიფიციური